საქართველოს კანონი

ინოვაციების შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი და მოქმედების სფერო

1. ამ კანონის მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

2. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ინოვაციური საქმიანობების სუბიექტებზე, ინოვაციური საქმიანობების ხელშემწყობ ინფრასტრუქტურაზე, ინოვაციური საქმიანობების დაფინანსებასა და ინოვაციების კომერციალიზაციაზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ინოვაცია – ეკონომიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სახის, მათ შორის:

ა.ა) ინოვაციური პროდუქტი – ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, რომელიც არ გულისხმობს სხვა პირის მიერ შემუშავებული ან წარმოებული ინოვაციური პროდუქტის მხოლოდ ესთეტიკურ ცვლილებას;

ა.ბ) ინოვაციური პროცესი – წარმოების ან მომსახურების ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მეთოდის გამოყენება, რომელიც პირისთვის არის სიახლე ან გაუმჯობესება, იმის მიუხედავად, ეს პროცესი სხვა პირის მიერაა შექმნილი თუ არა;

ა.გ) ორგანიზაციული ინოვაცია – მენეჯმენტის სტრუქტურის ან მეთოდის ახალი ან მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც მიმართულია ორგანიზაციაში პროდუქტის ან მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისკენ ან/და ცოდნის გამოყენების გაუმჯობესებისკენ ან ბიზნესის ეფექტიანობის ზრდისკენ;

ა.დ) ინოვაციური მარკეტინგი – მარკეტინგის ახალი მეთოდის გამოყენება, მათ შორის, პროდუქტის დიზაინისა და შეფუთვის და ამ პროდუქტის პოპულარიზაციისა და შეთავაზების მნიშვნელოვანი ცვლილებები;

ბ) ინოვაციური საქმიანობა – საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ეკონომიკური ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის, პროცესის ან მომსახურების შესაქმნელად;

გ) ინოვაციური საქმიანობის სუბიექტი – პირი, რომელიც ინოვაციურ საქმიანობას ახორციელებს;

დ) ინოვაციური პროექტი – პროექტი, რომლის მიზანია ინოვაციური საქმიანობის განხორციელება;

ე) ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურა – გარემო, რომელიც მიმართულია საგანმანათლებლო, სამრეწველო, სამეცნიერო და კერძო სექტორების დაკავშირებისა და თანამშრომლობისკენ და ინოვაციური საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისკენ;

[ე) (ამოღებულია - 24.06.2025, №718); ***(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)***]

ვ) დამწყები ბიზნესი – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეწარმე სუბიექტი, რომლის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 2 წელზე მეტი არ გასულა;

[ვ) (ამოღებულია - 24.06.2025, №718); ***(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)***]

ზ) ინოვაციის კომერციალიზაცია – ინოვაციის პრაქტიკული გამოყენება, რომელსაც დადებითი ეკონომიკური ან სოციალური ეფექტი აქვს;

თ) ინოვაციების ეკოსისტემა – ეროვნული და რეგიონალური ინოვაციების სისტემების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფოს, საგანმანათლებლო, სამრეწველო, სამეცნიერო და კერძო სექტორების თანამშრომლობას და მიმართულია სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცოდნის შექმნისაკენ, განვითარებისაკენ, გავრცელებისა და გამოყენებისაკენ ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

[ი) ტექნოლოგიური პარკი – ინფრასტრუქტურული სივრცე, რომელიც დაინტერესებულ პირებს ტექნოლოგიურ, ინფრასტრუქტურულ და პროფესიულ მომსახურებებს უწევს;

კ) აქსელერაცია – ინოვაციების ხელშემწყობი მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს კონკურსის წესით შერჩეული ინოვაციური საქმიანობის სუბიექტის სამუშაო სივრცით უზრუნველყოფას, აგრეთვე მისი ბიზნესიდეისა და მოდელის განვითარებასა და დახვეწას და საჭიროების შემთხვევაში კონკურსის პირობებით განსაზღვრული ინვესტიციის განხორციელებას;

ლ) ტექნოლოგიების გადაცემა – ტექნოლოგიის/ინოვაციის გადაცემის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს ინტელექტუალური საკუთრების განსაკუთრებული უფლების მფლობელის მიერ კომერციული სარგებლის მიღების მიზნით ტექნოლოგიის/ინოვაციის გამოყენებისა და დანერგვის უფლების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირისთვის გადაცემას;

მ) ინოვაციების ინფრასტრუქტურა – ადმინისტრაციული ორგანოს ან კერძო პირების მიერ შექმნილი ინოვაციების ხელშემწყობი მექანიზმების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიურ პარკებსა და აქსელერატორებს, აგრეთვე ტექნოლოგიების გადაცემას და სხვა მექანიზმებს;

ნ) ინოვაციების რეესტრი – მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ინოვაციური სტარტაპის, ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიისა და კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის სტატუსების მქონე სუბიექტების შესახებ, აგრეთვე საინვესტიციო ფონდების, ანგელოზ ინვესტორთა ქსელებისა და აქსელერატორების შესახებ;

ო) ფინანსური წელი – ამ კანონის მიზნებისთვის – დროის მონაკვეთი ერთი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ***(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)***]

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 3. ინოვაციების სფეროში სახელმწიფო სტრატეგია

1. ინოვაციების სფეროში სახელმწიფო სტრატეგიას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოს – კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს წარდგინებით.

2. საქართველოს მთავრობა ინოვაციების სფეროში სახელმწიფო სტრატეგიაში მითითებული

პრიორიტეტების შესაბამისად განსაზღვრავს ამ სტრატეგიის განხორციელებისთვის პასუხისმგებელ სუბიექტებს.

მუხლი 4. საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოს – კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს ფუნქციები ინოვაციების სფეროში

ინოვაციების სფეროში საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოს – კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს ფუნქციებია:

ა) ინოვაციების სფეროში სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების კოორდინაცია და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;

ბ) ეროვნული და რეგიონალური ინოვაციების ეკოსისტემების განვითარების კოორდინაცია როგორც სახელმწიფო უწყებებს შორის, ისე სახელმწიფო, კერძო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო სექტორებს შორის;

გ) ინოვაციური საქმიანობების შესახებ ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები.

მუხლი 5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ამოცანები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (შემდგომ – სააგენტო) ხელს უწყობს ინოვაციების კომერციალიზაციას და ახდენს ინოვაციების გამოყენების სტიმულირებას.

[მუხლი 5[1]. სააგენტოს ინოვაციების ინფრასტრუქტურის მომსახურების სახეები და საფასურები, ტექნოლოგიების გადაცემის წესი და მომსახურების საფასურები

სააგენტოს ინოვაციების ინფრასტრუქტურის მომსახურების სახეები და საფასურები (მათ შორის, ტექნოლოგიური პარკის მომსახურების სახეები და საფასურები), აგრეთვე ტექნოლოგიების გადაცემის წესი და მომსახურების საფასურები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ***(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)***]

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

თავი II

ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურა

[ინოვაციების რეესტრი *(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)*]

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 6. ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა

1. ინოვაციური საქმიანობის ხელშესაწყობად სახელმწიფო ორგანო ან სხვა პირი ქმნის შემდეგ ინფრასტრუქტურას:

ა) სამეცნიერო/ტექნოლოგიურ პარკს;

ბ) ბიზნესინკუბატორს;

გ) ბიზნესამაჩქარებელს;

დ) ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრს;

ე) სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიას (FabLab) და ინოვაციების ლაბორატორიას (ILab);

ვ) ინოვაციების ცენტრს;

ზ) სხვა ინფრასტრუქტურას.

2. მუნიციპალიტეტი ინოვაციური განვითარების მხარდაჭერას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

[**მუხლი 6. ინოვაციების რეესტრი**

1. ინოვაციების რეესტრში რეგისტრაციას ამ კანონის 15^1, 15^4 და 15^6 მუხლებით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მოპოვების მომენტიდან ექვემდებარება:

ა) ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მქონე სუბიექტი;

ბ) ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტი;

გ) კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტი.

2. ინოვაციების რეესტრში რეგისტრაციას მიმართვის შემთხვევაში ექვემდებარება:

ა) საინვესტიციო ფონდი;

ბ) ანგელოზ ინვესტორთა ქსელი;

გ) აქსელერატორი.

3. დაინტერესებული სუბიექტის ამ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში ინოვაციების რეესტრში მის რეგისტრაციას ახორციელებს, აგრეთვე ინოვაციების რეესტრს აწარმოებს სააგენტო.

4. ინოვაციების რეესტრში რეგისტრირებული სუბიექტის შესახებ მონაცემები საჯაროა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. ამ მუხლით განსაზღვრული სუბიექტის ინოვაციების რეესტრში რეგისტრაციის წესი და ამ რეესტრის წარმოების ინსტრუქცია მტკიცდება სააგენტოს თავმჯდომარის ნორმატიული აქტით – ბრძანებით.

6. ინოვაციების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ განაცხადის საფასური ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სუბიექტისთვის 200 ლარია, ხოლო ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით ან მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სუბიექტისთვის – 500 ლარი. ***(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)***]

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 7. სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკი

1. სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკი უზრუნველყოფს განსაზღვრულ სივრცეში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ინოვაციური საქმიანობის სხვა სუბიექტებისათვის ინფრასტრუქტურული და პროფესიული მომსახურებების გაწევას.

2. სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკი ხელს უწყობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირთა თანამშრომლობას, ახალი ტექნოლოგიების შესაძლო უსწრაფეს გამოყენებას, ახალი

პროდუქტისა და მომსახურების შექმნას და ბაზარზე გატანას.

[**მუხლი 7. საინვესტიციო ფონდი**

1. ამ კანონის მიზნებისთვის საინვესტიციო ფონდი არის „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საინვესტიციო ფონდი, აგრეთვე სხვა ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული საინვესტიციო ფონდი, რომლის საინვესტიციო სტრატეგია ითვალისწინებს ინვესტიციის ინოვაციურ/ტექნოლოგიურ სტარტაპებში განხორციელებას.

2. ამ კანონის მიზნებისთვის ინოვაციების რეესტრში რეგისტრაციას მიმართვის შემთხვევაში ექვემდებარება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ფონდი, რომელმაც ბოლო 3 წლის განმავლობაში ინოვაციურ/ტექნოლოგიურ სტარტაპებში ჯამურად არანაკლებ 1 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა, რის სანაცვლოდაც თითოეულ მათგანში წილის არაუმეტეს 20%-ს ფლობს. ***(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)***]

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 8. ბიზნესინკუბატორი

ბიზნესინკუბატორის ძირითადი ფუნქციაა კონკურსის წესით შერჩეული ინოვაციური საქმიანობის სუბიექტისთვის სამუშაო სივრცის უზრუნველყოფა და ადმინისტრაციული და სხვა ტექნიკური დახმარების გაწევა არაუმეტეს 2 წლის ვადით.

[**მუხლი 8. ანგელოზ ინვესტორთა ქსელი**

ამ კანონის მიზნებისთვის ინოვაციების რეესტრში რეგისტრაციას მიმართვის შემთხვევაში ექვემდებარება ანგელოზ ინვესტორთა ქსელი, რომელიც არის იურიდიული პირი და აერთიანებს არანაკლებ 10 ანგელოზ ინვესტორს, რომლებმაც ბოლო 2 წლის განმავლობაში ამ ქსელის მეშვეობით განახორციელეს ჯამურად არანაკლებ 300 000 ლარის ინვესტიცია სულ მცირე 5 კომპანიაში, რის სანაცვლოდაც თითოეულ მათგანში წილის არაუმეტეს 20%-ს ფლობენ. ***(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)***]

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 9. ბიზნესამაჩქარებელი

ბიზნესამაჩქარებლის ძირითადი ფუნქციაა კონკურსის წესით შერჩეული ინოვაციური საქმიანობის სუბიექტისთვის სამუშაო სივრცის, მისი ბიზნესიდეის და მოდელის განვითარებისა და დახვეწის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კონკურსის პირობებით განსაზღვრული ინვესტირების განხორციელება.

[**მუხლი 9. აქსელერატორი**

ამ კანონის მიზნებისთვის ინოვაციების რეესტრში რეგისტრაციას მიმართვის შემთხვევაში ექვემდებარება აქსელერატორი, რომელიც არის იურიდიული პირი, ახორციელებს სილაბუსზე დაფუძნებულ, არანაკლებ 3 თვისა და არაუმეტეს 12 თვის ხანგრძლივობის აქსელერაციის პროგრამას და უზრუნველყოფილია სამუშაო სივრცითა და კვალიფიციური მენტორებით. ***(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)***]

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 10. ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი

ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი უზრუნველყოფს ინოვაციის გადაცემას, რაც მოიცავს ინოვაციის კომერციული პოტენციალის შეფასებას, ინოვაციის გადაცემისათვის პარტნიორთა მოძიებას და ინოვაციის კომერციალიზაციის მიზნით ასეთი გადაცემის შეფასებას.

[**მუხლი 10. (ამოღებულია)** ***(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)***]

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 11. სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია

სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია უზრუნველყოფს განსაზღვრულ სივრცეში ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ინფრასტრუქტურული და პროფესიული მომსახურებების გაწევას, რაც გულისხმობს იდეის ტესტირებას და ნიმუშის დამზადებას.

[**მუხლი 11. (ამოღებულია)** ***(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)***]

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 12. ინოვაციების ლაბორატორია

ინოვაციების ლაბორატორია საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლობის შედეგად უზრუნველყოფს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ინფრასტრუქტურული და პროფესიული მომსახურებების გაწევას და ტრენინგების ჩატარებას, რაც გულისხმობს კონკრეტულ ბიზნესზე ორიენტირებულ სწავლებას, იდეის ტესტირებას და ნიმუშის დამზადებას.

[**მუხლი 12. (ამოღებულია)** ***(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)***]

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 13. ინოვაციების ცენტრი

ინოვაციების ცენტრი უზრუნველყოფს მოსახლეობის კომპიუტერული უნარ-ჩვევების ამაღლებას, ინოვაციების სფეროში სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას, დისტანციური სწავლებისა და დასაქმების პლატფორმების დანერგვას.

[**მუხლი 13. (ამოღებულია)** ***(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)***]

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 14. სააგენტოს ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურის რეგულირების წესი

სააგენტოს სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკის, ბიზნესინკუბატორის, ბიზნესამაჩქარებლისა და ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის მომსახურებების საფასურები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ინოვაციური საქმიანობის სხვა ინფრასტრუქტურის მომსახურებების საფასურები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

[**მუხლი 14. (ამოღებულია)** ***(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)***]

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 15. ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურის დაფინანსება

საქართველოს მთავრობას, სააგენტოს, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებს და სხვა პირებს შეუძლიათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელონ ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურის დაფინანსება/თანადაფინანსება.

[**მუხლი 15. (ამოღებულია)** ***(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)***]

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

[თავი II[1]

ინოვაციური სტარტაპის, ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის, კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის სტატუსების მოპოვება და მათი ხელშემწყობი მექანიზმები

მუხლი 15[1]. ინოვაციური სტარტაპი

1. ინოვაციური სტარტაპი არის ინოვაციური საქმიანობის განმახორციელებელი, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული სამეწარმეო საზოგადოება, რომელიც აკმაყოფილებს ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭებისთვის ამ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ინოვაციური სტარტაპის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს იმ სუბიექტს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იგი ქმნის ინოვაციურ პროდუქტს, შეიმუშავებს ინოვაციურ პროცესს ან/და ეწევა ინოვაციურ მომსახურებას;

ბ) მან აღნიშნული სტატუსის მინიჭების შესახებ განაცხადის წარდგენამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში საინვესტიციო ფონდისგან, ანგელოზ ინვესტორთა ქსელისგან ან ამ ქსელის წევრისგან ან/და აქსელერატორისგან მოიპოვა არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია ან სააგენტოსგან მოიპოვა არანაკლებ 150 000 ლარის ოდენობის საგრანტო დაფინანსება. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ინვესტიციად მიიჩნევა აგრეთვე სხვა ქვეყანაში დაფუძნებული იმ მშობელი კომპანიისგან ან/და შვილობილი კომპანიისგან მიღებული ფინანსური სახსრები, რომელმაც, თავის მხრივ, ეს სახსრები საინვესტიციო ფონდისგან, ანგელოზ ინვესტორთა ქსელისგან ან ამ ქსელის წევრისგან ან/და აქსელერატორისგან მიიღო;

გ) იგი აღნიშნული სტატუსის მოპოვების მიზნით ახორციელებს ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მექანიზმების მიერ დაფინანსებულ, ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, ამასთანავე, მის მიერ მიღებული შემოსავალი და გაწეული ხარჯები არსებითად ამ საქმიანობასთან არის დაკავშირებული;

დ) მას აღნიშნული სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენიდან სტატუსის მინიჭების მომენტისთვის არ აქვს საგადასახადო დავალიანება, იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და ის არ იმყოფება ლიკვიდაციის პროცესში.

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 15[2]. ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მოქმედების ვადა

1. სუბიექტს ინოვაციური სტარტაპის სტატუსი ენიჭება 1 წლის ვადით.

2. ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს 1 წლით, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. სუბიექტმა ინოვაციური სტარტაპის სტატუსით შეიძლება ისარგებლოს ჯამურად არაუმეტეს 10 წლის ვადით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დაცვის შემთხვევაში ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მქონე სუბიექტი:

ა) ინოვაციური სტარტაპის სტატუსის პირველად მინიჭებიდან მომდევნო 2 წლის განმავლობაში აღნიშნული სტატუსის მოქმედების ვადის 2-ჯერ გაგრძელებას შეძლებს, თუ ის აკმაყოფილებს ამ კანონის 15[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან მომდევნო 3 წლის განმავლობაში

ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მოქმედების ვადის 3-ჯერ გაგრძელებას შეძლებს, თუ ის აკმაყოფილებს ამ კანონის 15^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ამასთანავე, მას სტატუსის მოპოვების მე-3 წლის ბოლოსთვის მიღებული აქვს ჯამურად არანაკლებ 5 მილიონი ლარის ინვესტიცია, რომლის სულ მცირე 30% არის საინვესტიციო ფონდისგან, ანგელოზ ინვესტორთა ქსელისგან ან ამ ქსელის წევრისგან ან/და აქსელერატორისგან მიღებული ინვესტიცია. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ინვესტიციად მიიჩნევა აგრეთვე სხვა ქვეყანაში დაფუძნებული იმ მშობელი კომპანიისგან ან/და შვილობილი კომპანიისგან მიღებული ფინანსური სახსრები, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნული სახსრების არანაკლებ 30%-ისა საინვესტიციო ფონდისგან, ანგელოზ ინვესტორთა ქსელისგან ან ამ ქსელის წევრისგან ან/და აქსელერატორისგან მიიღო;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან მომდევნო 4 წლის განმავლობაში ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მოქმედების ვადის 4-ჯერ გაგრძელებას შეძლებს, თუ ის აკმაყოფილებს ამ კანონის 15^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ამასთანავე, მას სტატუსის მოპოვების მე-6 წლის ბოლოსთვის მიღებული აქვს ჯამურად არანაკლებ 15 მილიონი ლარის ინვესტიცია, რომლის სულ მცირე 30% არის საინვესტიციო ფონდისგან, ანგელოზ ინვესტორთა ქსელისგან ან ამ ქსელის წევრისგან ან/და აქსელერატორისგან მიღებული ინვესტიცია. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ინვესტიციად მიიჩნევა აგრეთვე სხვა ქვეყანაში დაფუძნებული იმ მშობელი კომპანიისგან ან/და შვილობილი კომპანიისგან მიღებული ფინანსური სახსრები, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნული სახსრების არანაკლებ 30%-ისა საინვესტიციო ფონდისგან, ანგელოზ ინვესტორთა ქსელისგან ან ამ ქსელის წევრისგან ან/და აქსელერატორისგან მიიღო.

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 15^3. ინოვაციური სტარტაპის ხელშემწყობი მექანიზმები

1. ინოვაციური სტარტაპის ხელშემწყობი მექანიზმებია:

ა) ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭებიდან პირველი 3 წლის განმავლობაში მის მიერ გაცემული ხელფასი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება;

ბ) ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭების მე-4 წლიდან მომდევნო 3 წლის განმავლობაში მის მიერ გაცემული ხელფასი საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით იბეგრება, ხოლო იმავე პერიოდში ინოვაციური სტარტაპის მოგების გადასახადის განაკვეთი 5%-ია;

გ) ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭების მე-7 წლიდან მომდევნო 4 წლის განმავლობაში მის მიერ გაცემული ხელფასი საშემოსავლო გადასახადის 10%-იანი განაკვეთით იბეგრება, ხოლო იმავე პერიოდში ინოვაციური სტარტაპის მოგების გადასახადის განაკვეთი 10%-ია.

2. დაუშვებელია, სუბიექტს ინოვაციური სტარტაპის სტატუსთან ერთად ჰქონდეს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი ან ვირტუალური ზონის პირის სტატუსი. თუ ინოვაციური სტარტაპის სტატუსი მიენიჭა საერთაშორისო კომპანიის სტატუსის ან ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მქონე სუბიექტს, მას შესაბამისი სტატუსი უუქმდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 15^4. ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანია

1. ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ სამეწარმეო საზოგადოებას, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მის მიერ შესაბამისი განაცხადის წარდგენის მომენტისთვის, აგრეთვე შემდეგ, ამ კანონის 15^8 მუხლის

მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისობის დადასტურების მომენტისთვის წინა ფინანსური წლის განმავლობაში კვლევისა და განვითარებისთვის გაწეული ხარჯების მოცულობა იმავე ფინანსურ წელს მიღებული შემოსავლების მოცულობის სულ მცირე 5%-ია, არანაკლებ 100 000 ლარია და იგი აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს მაინც:

ა.ა) მას აქვს პატენტი ან/და დეპონირებული კომპიუტერული პროგრამა და კვლევისა და განვითარებისთვის გაწეული ხარჯები მიმართულია ამ პატენტის ან/და დეპონირებული კომპიუტერული პროგრამის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის, შემუშავებული პროცესის ან/და მომსახურების განვითარებისკენ;

ა.ბ) მას კვლევისა და განვითარებისთვის ხარჯები გაწეული აქვს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებისგან ან კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტისგან შესაბამისი მომსახურების შესასყიდად;

ა.გ) მის მიერ ინოვაციური პროდუქტის, პროცესის ან/და მომსახურების განვითარებისკენ მიმართული, კვლევისა და განვითარებისთვის გაწეული ხარჯები აღრიცხულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული კვლევისა და განვითარების ხარჯების სახელმძღვანელოს შესაბამისად;

ბ) მას აღნიშნული სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენიდან სტატუსის მინიჭების მომენტისთვის არ აქვს საგადასახადო დავალიანება, იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და ის არ იმყოფება ლიკვიდაციის პროცესში;

გ) იგი არის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მესამე კატეგორიის საწარმო ან მეოთხე კატეგორიის საწარმო.

2. სუბიექტს ამ მუხლით განსაზღვრული სტატუსი ენიჭება უვადოდ.

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 15[5]. ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის ხელშემწყობი მექანიზმები

1. ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანია უფლებამოსილია წინა ფინანსურ წელს დაგროვილი წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემთხვევაში მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით შეიმციროს მის მიერ წინა ფინანსურ წელს კვლევისა და განვითარებისთვის გაწეული ხარჯების სამმაგი ოდენობით.

2. ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტი უფლებამოსილია მოგების რეინვესტირების შემთხვევაში ისარგებლოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ხელშემწყობი მექანიზმებით.

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 15[6]. კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანია

1. კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს იმ სუბიექტს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იგი არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული სამეწარმეო საზოგადოება;

ბ) მისი ძირითადი საქმიანობა არის საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „ეკონომიკური საქმიანობის სახეები“ 72.1 კოდით გათვალისწინებული „კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებში“ და მის მიერ წინა ფინანსური წლის განმავლობაში ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იმავე ფინანსურ წელს ჯამურად მიღებული შემოსავლების არანაკლებ 80% უნდა იყოს;

გ) მას აღნიშნული სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენიდან სტატუსის მინიჭების მომენტისთვის არ აქვს საგადასახადო დავალიანება, იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და ის არ იმყოფება ლიკვიდაციის პროცესში.

2. სუბიექტს ამ მუხლით განსაზღვრული სტატუსი ენიჭება ერთჯერადად, უვადოდ.

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 15[7]. კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის ხელშემწყობი მექანიზმები

1. კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის მიერ შესაბამისი სტატუსის მოქმედების პერიოდში გაცემული ხელფასი საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით იბეგრება.

2. კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთი 5%-ია.

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 15[8]. ამ კანონით განსაზღვრული სტატუსის მოპოვებისა და სტატუსით სარგებლობის პირობები

1. ამ კანონით განსაზღვრული სტატუსის მაძიებელი სუბიექტი აღნიშნული სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებას წარუდგენს სააგენტოს, რომელიც სათანადო დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ შესაბამის განაცხადს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით უგზავნის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

2. სუბიექტს ამ კანონით განსაზღვრულ სტატუსს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით ანიჭებს საქართველოს მთავრობა.

3. სუბიექტი ამ კანონით განსაზღვრული სტატუსის მქონედ ითვლება მისთვის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

4. ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მქონე სუბიექტი ვალდებულია ყოველწლიურად, ამ სტატუსის მოქმედების ვადის გასვლამდე 30 დღით ადრე ამ კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია წარუდგინოს სააგენტოს, რომელიც ამოწმებს ამ კანონის მოთხოვნებთან სუბიექტის შესაბამისობას. ამ კანონის მოთხოვნებთან სუბიექტის შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს 12-თვიან პერიოდს, რომელიც სრულდება აღნიშნული სტატუსის მოქმედების ვადის გასვლამდე 60 დღით ადრე. ამ კანონის მოთხოვნებთან სუბიექტის შესაბამისობის შემთხვევაში სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას სტატუსის მოქმედების ვადის ამ სტატუსისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ვადის ფარგლებში 1 წლით გაგრძელების შესახებ, ხოლო შეუსაბამობის შემთხვევაში იგი სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად სათანადო მასალებს დაუყოვნებლივ წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომელიც მათ განსახილველად წარადგენს საქართველოს მთავრობის უახლოეს სხდომაზე.

5. ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტი, აგრეთვე კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტი ვალდებულია არაუგვიანეს ყოველი წლის 30 აპრილისა ამ კანონის მოთხოვნებთან წინა ფინანსური წლის შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია წარუდგინოს სააგენტოს, რომელიც ამოწმებს ამ კანონის მოთხოვნებთან სუბიექტის შესაბამისობას. ამ კანონის მოთხოვნებთან სუბიექტის შეუსაბამობის შემთხვევაში სააგენტო აღნიშნული სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად სათანადო მასალებს დაუყოვნებლივ წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომელიც მათ განსახილველად წარადგენს საქართველოს მთავრობის უახლოეს სხდომაზე.

6. სუბიექტისთვის ამ კანონით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებისა და მისი გაუქმების წესები,

აგრეთვე სტატუსთან დაკავშირებული ხელშემწყობი მექანიზმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

7. თუ ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მქონე სუბიექტს მიენიჭა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი ან ვირტუალური ზონის პირის სტატუსი, მისთვის საერთაშორისო კომპანიის სტატუსის ან ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების თვის პირველი რიცხვიდან ინოვაციური სტარტაპის სტატუსი გაუქმებულად ითვლება. ***(ამოქმედდეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან)***]

საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №718 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

თავი III

ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება

მუხლი 16. ინოვაციური პროექტის დაფინანსება

ინოვაციური პროექტი ფინანსდება ამ კანონის, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 17. ფინანსური რესურსების დაგეგმვა და გამოყენება

1. ინოვაციური პროექტის დაფინანსებისას ფინანსური რესურსების დაგეგმვისა და გამოყენების დროს გამოიყენება გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, მიუკერძოებლობისა და საჯაროობის პრინციპები.

2. სააგენტოს შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საგრანტო კონკურსის ფარგლებში სხვა ორგანიზაციებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა ინოვაციური საქმიანობის თანადაფინანსებაში.

მუხლი 18. ინოვაციური საქმიანობების შესახებ წლიური ანგარიში

კვლევებისა და ინოვაციების საბჭო საქართველოს მთავრობას ყოველწლიურად წარუდგენს საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე ინოვაციური საქმიანობების და ამ მიზნით გამოყენებული ფინანსური რესურსების შესახებ წლიურ ანგარიშს.

თავი IV

სახელმწიფოს მიერ (მათ შორის, სააგენტოს მიერ) დაფინანსებული ინოვაციური პროექტის კომერციალიზაცია

მუხლი 19. ინტელექტუალური საკუთრების უფლება

1. სააგენტოს მიერ დაფინანსებული ინოვაციური პროექტის განხორციელების შედეგად სამსახურებრივი მოვალეობის ან ხელშეკრულებით დადგენილი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ან შეკვეთის მიმღების მიერ შექმნილ გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე ინტელექტუალური საკუთრება ეკუთვნის დამსაქმებელს ან შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. პირი, რომელსაც ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ეკუთვნის ინტელექტუალური საკუთრება, ვალდებულია საპატენტო განაცხადის წარდგენისას გამომგონებლის ან სასარგებლო მოდელის შემქმნელის სახელი მიუთითოს.

3. სააგენტოს მიერ დაფინანსებული ინოვაციური პროექტის განხორციელების შედეგად ინტელექტუალური საკუთრების უფლების კომერციალიზაციიდან გამომგონებლის გარანტირებული წილის დადგენისა და გაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4. თუ გამოგონება რამდენიმე პირმა შექმნა, თანაგამომგონებელთა შორის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემოსავლები თანაბრად ნაწილდება, თუ თანაგამომგონებელთა შორის

დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 20. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ გამოგონებაზე მიღებული პატენტიდან ან/და სასარგებლო მოდელზე მიღებული მოწმობიდან გამომდინარე უფლების მიმართ საჯარო ინტერესის დაცვა

1. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ გამოგონებაზე პატენტის ან/და სასარგებლო მოდელზე მოწმობის მიღების შემთხვევაში საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, სახელმწიფო დაფინანსების მიმღებ პატენტის ან მოწმობის მფლობელს, მის უფლებამონაცვლეს ან ექსკლუზიური კერძო ლიცენზიის მფლობელს სთხოვოს სათანადო განმცხადებელზე/განმცხადებლებზე ლიცენზიის გაცემა და, თუ აღნიშნული პატენტის ან მოწმობის მფლობელი, მისი უფლებამონაცვლე ან ექსკლუზიური კერძო ლიცენზიის მფლობელი უარს განაცხადებს ამ თხოვნის დაკმაყოფილებაზე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დაიცვას საჯარო ინტერესი და თავად გასცეს ლიცენზია:

ა) თუ პატენტის ან მოწმობის მფლობელი, მისი უფლებამონაცვლე ან ექსკლუზიური კერძო ლიცენზიის მფლობელი გონივრულ ვადაში არ განახორციელებს გამოგონების ან სასარგებლო მოდელის შესაბამის სფეროში პრაქტიკული გამოყენებისთვის აუცილებელ, ეფექტიან ღონისძიებებს ან თუ ასეთი ღონისძიებების გონივრულ ვადაში განხორციელება მოსალოდნელი არ არის;

ბ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, ეროვნული თავდაცვის, სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ეპიდემიის საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებსაც პატენტის ან მოწმობის მფლობელი, მისი უფლებამონაცვლე ან ექსკლუზიური კერძო ლიცენზიის მფლობელი ან მათი ლიცენზიატები ვერ აკმაყოფილებს (ვერ აკმაყოფილებენ).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე შექმნილი სამთავრობო კომისია დადგენილებით განსაზღვრული წესით.

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2884 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 21. ინოვაციური პროექტის დაფინანსებით მიღებული შემოსავალი

1. საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო უწყება ან უფლებამოსილი იურიდიული პირი უფლებამოსილია ინოვაციური პროექტის დაფინანსების მომდევნო 7 წლის განმავლობაში მოითხოვოს ამ პროექტის შემოსავლიდან წილი, წლიურად არაუმეტეს 5%-ის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წილის დადგენის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

თავი V

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 22. გარდამავალი დებულებანი

საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 1 დეკემბრამდე უზრუნველყოს:

ა) ამ კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სააგენტოს მიერ დაფინანსებული ინოვაციური პროექტის განხორციელების შედეგად ინტელექტუალური საკუთრების უფლების კომერციალიზაციიდან გამომგონებლის ან სასარგებლო მოდელის შემქმნელის გარანტირებული წილის დადგენისა და გაცემის წესის დამტკიცება;

ბ) ამ კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებული დადგენილების მიღება და სამთავრობო კომისიის შექმნა;

გ) ამ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული დადგენილების მიღება.

მუხლი 23. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

22 ივნისი 2016 წ.

N5501-IIს